

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევამე

2. ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ზოგიერთი შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევამე

3. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

თანამომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: გულად წითელაძე

მომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

4. შპს „ქედის წყალკანალი“-ს მიერ 2025 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: შპს „ქედის წყალკანალი“-ს დირექტორი: ემზარ ბერიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

5. ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის მიერ 2025 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლის დირექტორი: მანუჩარ ჯიჯავაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ნაზიმ ჩხეიძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2026 წლის -- სექტემბერი
დაბა ქედა**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამძე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 23 ოქტომბერი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 30 ოქტომბერი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

ამირან ცინცაძე

ცნობა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2026 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2026 წლის 23 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2026 წლის 30 ოქტომბერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №--

2026 წლის -- ოქტომბერი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 11/05/2016; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016193) შეტანილი იქნას ცვლილება და:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო არის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით დადგენილი უფლებამოსილების შესაბამისად, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს, უზრუნველყოფს მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვას, მისი განხორციელების კოორდინაციას, მონიტორინგსა და შეფასებას, აკონტროლებს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა საქმიანობას, იღებს გადაწყვეტილებებს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული სისტემით არჩეული 15 წევრისაგან და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 9 წევრისაგან.“

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2. საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები**

საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) კანონიერება - რაც გულისხმობს, რომ საკრებულოს მიერ საქმიანობა ხორციელდება კანონის საფუძველზე და კანონით დადგენილ ფარგლებში.

ბ) საჯაროობა და გამჭვირვალობა - რაც მოიცავს: ინფორმაციის საჯაროობას, გადაწყვეტილების დაგეგმვის, მომზადებისა და მიღების პროცესის საჯაროობას და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლის საჯაროობას. საკრებულოს საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის საფუძველზე უზრუნველყოფილია ადგილობრივ მოსახლეობის უფლება აკონტროლოს გადაწყვეტილების შემუშავების, მიღებისა და აღსრულების პროცესი და მოახდინოს საჯარო ზეგავლენა ამ პროცესზე.

გ) ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობა - რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა ჰარმონიულ და ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას.

გ) კოლეგიურობა, საკითხთა თავისუფალი, კოლექტიური განხილვა-გადაწყვეტა - საკითხთა მომზადების, განხილვისა და გადაწყვეტილების პროცესში განსხვავებულ აზრთა პატივისცემა და პლურალიზმი, წარმომადგენლობითი პროპორციულობის დაცვა და ორიენტაცია კონსენსუსის მიღწევაზე.

დ) დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა საკითხების გადაწყვეტაში - საკრებულო კანონით დადგენილ საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. საკრებულო, თავის უფლებამოსილების განხორციელებისას შეზღუდული არ არის პოლიტიკური გაერთიანების განაწესებითა და დავალებებით. კანონი კრძალავს საკრებულოსა და საკრებულოს წევრებისთვის დირექტივების მიცემას ან იძულებას (ადმინისტრაციული, პოლიტიკური, ფინანსური, თუ სხვა ბერკეტების გამოყენებით) საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას.

დ) წარმომადგენლობითი პროპორციულობის დაცვა - საკრებულოს კომისიები, თუ სამუშაო ჯგუფები უნდა შედგეს საკრებულოში წარმოდგენილი სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლობითი პროპორციულობის დაცვით.

ვ) ანგარიშვალდებულება და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აზრის გათვალისწინება - საკრებულო თავის საქმიანობისა და უფლებამოსილების განხორციელებაზე მხოლოდ ამომრჩეველთა წინაშე ანგარიშვალდებული. ამ პრინციპის რეალიზება უკავშირდება როგორც საჯაროობის დაცვას, ასევე საკრებულოს, საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების მიერ მოსახლეობის წინაშე სავალდებულო პერიოდულ ანგარიშგებას და თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოსა და თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულებას საკრებულოს წინაშე.

ზ) ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა - რაც გულისხმობს საკრებულოს ვალდებულებას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნას ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, საკრებულოს და საკრებულოს კომისიების სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის.

ი) სახელმწიფოსა და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობის დაცვა - საკრებულო გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა ხელმძღვანელობდეს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთო სახელმწიფო ინტერესებით. საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს სახელმწიფო ინტერესებთან“.

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ა)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მერიის და საკრებულოს თანამდებობის პირების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცება, ანგარიშის მოსმენა და შეფასება;“

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს მთავრობის მიერ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის შესაბამისად, საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნორმატიულ ფასის დადგენა, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის წესების დადგენა;“

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საკუთარი ინიციატივით სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით დაამტკიცოს მუნიციპალური პროგრამები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერის, სოციალური დახმარების, ჯანმრთელობის დაცვის, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის მიზნებით;“

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „4¹“, „4²“ მუხლები და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

ა) „**მუხლი 4¹. საკრებულოს საქმისწარმოება და საქმისწარმოების ენა**

1. საკრებულოს სამუშაო და საქმისწარმოების ენაა საქართველოს სახელმწიფო ენა.
2. საკრებულოში ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა – MSDA-ს“ მეშვეობით.

ბ) „**მუხლი 4². ვადების ათვლის წესი**

1. ვადები, რომლებიც ამ რეგლამენტით დღეებით არის განსაზღვრული, გულისხმობს სამუშაო დღეებს, გარდა საქართველოს კანონითა და ამ რეგლამენტით პირდაპირ გათვალისწინებული კალენდარული დღეებისა.

2. ამ რეგლამენტით დღეებით განსაზღვრული ვადების ათვლისას არ იანგარიშება შესაბამისი ვადის ათვლის პირობის წარმოშობის დღე, გარდა ამავე რეგლამენტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.“

7. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) „2. საკრებულოსა მისი ორგანოების: საკრებულოს ბიურო, საკრებულოს კომისიები, ფრაქციები, დროებითი სამუშაო ჯგუფი, სხდომები ტარდება საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში. საკრებულოს მიერ სხდომის სხვა ადგილას ჩატარება დაიშვება საკრებულოს განკარგულებით ან საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, ამ რეგლამენტის 53-ე მუხლით დადგენილი წესით. საკრებულოს კომისია გასვლით სხდომებს ატარებს ამ რეგლამენტის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით.“

ბ) „3. საკრებულოს შენობაზე, აგრეთვე იმ ადგილზე, სადაც იმართება საკრებულოს სხდომა, აღმართული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო დროშა. საკრებულოს შენობაში საქართველოს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის სიმბოლოები გამოიყენება „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენისა და გამოსახვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით.“

8. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საკრებულოს სხდომათა დარბაზში ცალ-ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი ადგილები მერის, საკრებულოს აპარატის თანამშრომლების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების, საკრებულოში რეგისტრირებული ლობისტის (ლობისტების), საკრებულოში მოწვეული პირებისა და სხდომაზე დასწრების მსურველ პირთათვის.“

9. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. საკრებულოს სხდომაზე დასწრების წესი

1. საკრებულოს ღია სხდომებზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ პირს.

2. საკრებულოს დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრს, საქართველოს მთავრობის წევრს, მერს, საკრებულოში ამ საკითხზე რეგისტრირებულ ლობისტს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, საკრებულოს აპარატის, აგრეთვე ამ სხდომაზე სპეციალურად მოწვეულ პირებს.

3. საკრებულოს დახურულ სხდომაზე საკითხის განხილვისას სხდომათა დარბაზის კარი იკეტება.

4. საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრები იკავებენ მხოლოდ მათთვის პერსონალურად გამოყოფილ ადგილს. საკრებულოს სხდომაზე დამსწრე სხვა პირებს უფლება არ აქვთ დაიკავონ საკრებულოს წევრისათვის გამოყოფილი ადგილები.

5. საკრებულოს სხდომის დროს საკრებულოს წევრები და მოწვეული პირები ვალდებული არიან დაიცვან ამ რეგლამენტით დადგენილი წესები.“

10. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-10 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიის ან საკრებულოს ფრაქციის ინიციატივით

საკრებულოს დარბაზში შეიძლება მოეწყოს თათბირები, სემინარები, კონფერენციები, საზეიმო მიღებები და სხვა ღონისძიებები.“

11. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს „31“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„31. საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით – მისი ერთ-ერთი მოადგილე.“

12. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, მისი თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების, მისთვის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე, ხოლო მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში – საკრებულოს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე. თუ საკრებულოს თავმჯდომარის არცერთი მოადგილე არ არის არჩეული ან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეთა მიერ უფლებამოსილების განხორციელება შეუძლებელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს საკრებულოს უხუცესი წევრი“.

13. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოს კომისიები იქმნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებული დარგების (სფეროების) მიხედვით.

14. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 25. საკრებულოს კომისიათა ზოგადი უფლებამოსილება

1. საკრებულოს კომისია:

ა) მერიის შესაბამისი სამსახურის/სამსახურების სამუშაო გეგმის გათვალისწინებით შეიმუშავებს კომისიის ყოველკვარტალურ სამუშაო გეგმას;

ბ) სამუშაო გეგმის შესაბამისად შეიმუშავებს, განიხილავს და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს;

გ) წინასწარ განიხილავს საკრებულოში შემოტანილ, მის სფეროს მიკუთვნებულ, საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს; ამზადებს დასკვნებს ორგანიზებას უწევს და/ან მონაწილეობს მათ განხილვაში;

დ) შეიმუშავებს მის სფეროს მიკუთვნებულ საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, გარდა იმ საკითხებისა, რომელთა მომზადება და წარდგენა მხოლოდ მერის პრეროგატივაა;

ე) განიხილავს იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს, რომლებსაც ირჩევს (ათავისუფლებს) საკრებულო და დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას;

ვ) განიხილავს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის, პრიორიტეტების დოკუმენტის, მუნიციპალური პროგრამების და ბიუჯეტის პროექტებს და ამზადებს დასკვნებს;

ზ) აკონტროლებს შესაბამის სფეროში მიღებულ საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში დასკვნას და რეკომენდაციებს წარუდგენს საკრებულოს;

თ) აკონტროლებს მერიის შესაბამისი მიმართულების სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობას, ისმენს მათ ყოველკვარტალურ ანგარიშებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებსა და შეფასებებს;

ი) იღებს გადაწყვეტილებას კომისიასთან საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ;

კ) ახორციელებს ამ რეგლამენტით, საკრებულოს დავალებით და საკრებულოს კომისიის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. მერიის და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირები ვალდებული არიან ყოველკვარტალურად ან კომისიის მოთხოვნით კომისიის მიერ დადგენილ ვადაში წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა მასალები, დაესწრონ კომისიის სხდომებს, პასუხი გასცენ სხდომაზე დასმულ შეკითხვებზე და წარადგინონ გაწეული საქმიანობის ანგარიში.

3. კომისია მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხზე ინფორმაციის მოსმენის, კონტროლისა და შემოწმების შედეგად, აგრეთვე დარღვევის გამოვლენილ ფაქტებზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს. კომისიის რეკომენდაცია შეიძლება წარედგინოს საკრებულოს ან რეაგირებისთვის გადაეგზავნოს შესაბამის თანამდებობის პირს, რომელიც ვალდებულია 1 თვის ან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში აცნობოს კომისიას განხილვის შედეგები ან მიღებული ზომები.

4. საკრებულოს კომისიების საქმიანობას კოორდინაციას უწევს და კომისიის სამუშაო გეგმებს ამტკიცებს საკრებულოს ბიურო.

15. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30¹ მუხლის მე-2 პუნქტითა და ამ რეგლამენტის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;“

16. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 27-ე მუხლის დამატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„5. საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს კომისიიდან გამოსვლის ან მისი ფრაქციიდან გასვლის შემთხვევაში, ფრაქციას, რომლის მიერაც იყო საკრებულოს წევრი წარდგენილი საკრებულოს კომისიაში, უფლება აქვს არსებული კვოტის ფარგლებში საკრებულოს კომისიაში კომისიის წევრად წარადგინოს ახალი კანდიდატურა.“

17. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 28. კომისიის სხდომა

1. საკრებულოს კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ არჩეულია კომისიის თავმჯდომარე და კომისია შედგება სამი წევრისგან მაინც.

2. კომისიის პირველ საორგანიზაციო სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს მიერ კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში. კომისიის პირველ საორგანიზაციო სხდომაზე ხდება ფუნქციების განაწილება კომისიის წევრებს შორის და საჭიროების შემთხვევაში, კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ერთგვაროვან

ფუნქციათა დაჯგუფების მიხედვით კომისიის წევრებისგან კომისიის სამუშაო ჯგუფების შექმნა.

3. საკრებულოს კომისიის სხდომებს იწვევს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით კომისიის წევრი. კომისიის სხდომები იმართება საჭიროების მიხედვით ან/და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით, თვეში ერთხელ მაინც, კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად.

4. კომისიის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს ბიუროს, კომისიის თავმჯდომარის ან კომისიის წევრთა 1/3-ის ინიციატივით. საკრებულოს სხდომების დროს კომისია შეიძლება შეიკრიბოს საკრებულოს დავალებით, ცალკეულ საკითხთა სასწრაფოდ განხილვის მიზნით.

5. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარი მაინც.

6. თუ ფრაქციის მიერ დანიშნულ კომისიის წევრს დროებით არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში, მის დამნიშვნელ ფრაქციას უფლება აქვს, აღნიშნული წევრი, სათანაბრო ხმის უფლებით, დროებით შეცვალოს ფრაქციის სხვა წევრით. ამის შესახებ ფრაქცია კომისიის სხდომამდე წერილობით აცნობებს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარეს.

7. კომისია ვალდებულია საკრებულოს, ან საკრებულოს ბიუროს დავალებით, მის მიერ განსაზღვრულ ვადაში გამართოს სხდომა და განიხილოს საკითხი.

8. კომისიის სხდომის დღის წესრიგს ადგენს კომისიის თავმჯდომარე კომისიის სამუშაო გეგმის საფუძველზე. საკრებულოს ბიუროს ან კომისიის წევრთა წინადადებით, კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები.

9. საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს ბიუროს ან შესაბამისი კომისიების გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს კომისიების ერთობლივი სხდომა.

10. კომისიის გადაწყვეტილებით, საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, შეიძლება ჩატარდეს კომისიის გასვლითი სხდომა.

11. ცნობა საკრებულოს კომისიის სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე და განსახილველ საკითხებზე დაინტერესებულ პირთა მიერ მოსაზრებების წარდგენის ვადის შესახებ ქვეყნდება სხდომის ჩატარებამდე 7 დღით ადრე მაინც, ამ რეგლამენტის 127-ე მუხლით დადგენილი წესით.

12. მერის მიერ საკრებულოს სხდომაზე საკითხის დაჩქარებული წესით მოთხოვნის შემთხვევაში, კომისია ამ საკითხის განსახილველად კომისიის სხდომას ატარებს საკრებულოს ბიუროს მიერ დადგენილ ვადაში.“

18. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ, შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. ამასთან, 2029 წლის არჩევნებში არჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობამდე 1 პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ საკრებულოს წევრებს უფლება აქვთ, ამ მუხლით გათვალისწინებული საკრებულოს ფრაქციის შექმნისთვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შექმნან სხვა ფრაქცია, თუ ისინი პოლიტიკურმა პარტიამ წარადგინა, როგორც საკრებულოს წევრობის უპარტიო კანდიდატები, ან თუ ისინი დატოვებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიის წევრობას და გაწევრიანდებიან სხვა პოლიტიკურ პარტიაში.“

19. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 50-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ახალარჩეული საკრებულოს და მისი წევრების უფლებამოსილება იწყება შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების იმ შემაჯამებელი ოქმის/ოქმების ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-14 დღიდან, რომლითაც/რომლებითაც დასტურდება ამ საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევა. ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება შესაბამის მოქმედ საკრებულოს. თუ ახალარჩეული საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევა აღნიშნული არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმით/ოქმებით არ დასტურდება, ინიშნება შესაბამისი საკრებულოს ხელახალი არჩევნები.

ახალარჩეული საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შემდეგ, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დროებით სამანდატო კომისიას გადასცემს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო დოკუმენტაციას (საარჩევნო ოქმები, მასალები არჩევნების შედეგების, მათი ჩატარების სისწორის, შემოსული საჩივრების თაობაზე, განცხადებები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების შესახებ და სხვა), რის შემდეგაც ცხადდება შესვენება. შესვენების დროს, ცალკე ოთახში, იკრიბება დროებითი სამანდატო კომისია, რომელიც საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით ამზადებს და შესაბამის დასკვნას მოახსენებს საკრებულოს.“

20. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს საქმიანობის კვარტალურ სამუშაო გეგმას ადგენს საკრებულოს ბიურო, კომისიების სამუშაო გეგმების საფუძველზე, **მერიის სამსახურების კვარტალური სამუშაო გეგმების გათვალისწინებით.**“

21. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 58-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„7.მერის დასაბუთებული მოთხოვნით გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ან როცა საკითხის გადადებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მუნიციპალიტეტს, დასაშვებია საკრებულოს რიგგარეშე სხდომა ჩატარდეს ამ რეგლამენტით დადგენილი ვადების დაუცველად. ასეთ შემთხვევაში საკრებულოს კომისია ვალდებულია შემოტანილი საკითხი განიხილოს დაჩქარებული წესით.“

22. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 64-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„2. მომხსენებელი ვალდებულია ისეთი საკითხის განხილვისას, რომლებიც სრულყოფილი აღქმისათვის საჭიროებენ ვიზუალურ საშუალებების გამოყენებას, მოხსენება წარმოადგინოს აღქმისათვის საჭირო სლაიდებისა თუ რუკების გამოყენებით.“

23. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 65-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„3. მერს უფლება აქვს რიგგარეშედ და დროის შეუზღუდავად გამოვიდეს საკრებულოს სხდომაზე საკითხის განხილვისას.“

24. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 72-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „72¹“, „72²“ მუხლები და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

ა) „მუხლი 72¹. ზომები საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის მიერ საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა დარღვევისათვის

1. ამ რეგლამენტის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირს, აგრეთვე სხვა თანამდებობის პირს, რომელსაც ევალება საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა.

2. თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი დგება მის მიერ შემდეგი დარღვევების ჩადენისთვის:

ა) მოწვეულია საკრებულოს ან საკრებულოს კომისიაში საკითხის განხილვაზე და არ ცხადდება;

ბ) არღვევს საკრებულოს წევრის კითხვაზე/შეკითხვაზე პასუხის გაცემისთვის დაწესებულ პროცედურას;

გ) საკრებულოს/საკრებულოს კომისიას დადგენილ ვადაში არ აწვდის ანგარიშს ან სხვა ინფორმაციას;

დ) საკრებულოს/საკრებულოს კომისიას აწვდის დამახინჯებულ ან არასწორ ინფორმაციას;

ე) არ ასრულებს საკრებულოს/საკრებულოს კომისიის რეკომენდაციებს;

ვ) საკრებულოს წევრს დაბრკოლებებს უქმნის ამ რეგლამენტითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელებაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საკრებულო ამ თანამდებობის პირის მიმართ იყენებს შემდეგ რეაგირების ფორმებს:

ა) იღებს განკარგულებას დარღვევის გამო კონკრეტული თანამდებობის პირის მიმართ რეაგირების ზომების მისაღებად;

ბ) შესაბამისი უწყების ხელმძღვანელს მიმართავს რეკომენდაციით მისდამი დაქვემდებარებული თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის შესახებ.

ბ) „ 72². ეთიკის საბჭო და საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსი

1. საკრებულოს წევრის ქცევის ეთიკური სტანდარტები განისაზღვრება საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსი, რომელსაც საკრებულო ამტკიცებს დადგენილებით.

2. საკრებულოს წევრი ვალდებულია ხელი შეუწყოს საკრებულოს ეთიკის კოდექსი დადგენილი ნორმების დაცვას.

3. საკრებულოს თავისი უფლებამოსილების ვადით ქმნის საკრებულოს ეთიკის საბჭოს. საკრებულოს ეთიკის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციათა წარმომადგენლობისა და უფრაქციო საკრებულოს წევრთა რაოდენობის პროპორციულად.

4. ეთიკის საბჭოში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

5. საკრებულოს ფრაქციები პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შესაბამისად ეთიკის საბჭოს წევრებად დასახელებულ პირებს ამ კვოტების დამტკიცებიდან 1 კვირის ვადაში წარუდგენენ საკრებულოს, რომელიც ცნობად იღებს ეთიკის საბჭოს შემადგენლობას.

6. ეთიკის საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება და ორგანიზაციული საკითხები წესრიგდება საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსითა და ეთიკის საბჭოს დებულებით.

7. ეთიკის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

25. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 97-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„9. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საკრებულო გასცემს რეკომენდაციებს, ასევე უფლებამოსილია დააყენოს შესაბამისი პირის/პირების პასუხისმგებლობის საკითხი.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ცვლილებები შედის დადგენილებით დამტკიცებული დანართის სხვადასხვა მუხლში და აისახება თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებები. ცვლილების თანახმად, იცვლება საკრებულოს წევრების რაოდენობა, ასევე განისაზღვრება და იხვეწება პროცედურული საკითხები, რომლის შედეგად მოხდება რეგლამენტის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია.

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2026 წლის -- სექტემბერი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ზოგიერთი
შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების
ვალდებულების დადგენის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული
წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე
მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის
ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ზოგიერთი შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის
მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ“
(დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე
უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად
განისაზღვროს 2026 წლის 23 ოქტომბერი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება)
გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 30 ოქტომბერი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების
საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ
აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის
მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება
უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან
სალამემ

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ცნობა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ზოგიერთი შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ“ (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2026 წლის 22 ოქტომბერს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2026 წლის 23 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ზოგიერთი შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ“ (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2026 წლის 30 ოქტომბერი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

**2026 წლის -- სექტემბერი
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ზოგიერთი
შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების
ვალდებულების დადგენის შესახებ**

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 94-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისა და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის), მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად, დადგინდეს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ზოგიერთი შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 94-ე მუხლის შესაბამისად, II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა ექვემდებარება მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება აქვს, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ან მის ნაწილში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად დაადგინოს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება.

დადგენილების პროექტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პროექტით განსაზღვრული II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისა და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენა.

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს აღნიშნული კატეგორიის შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან (რეკონსტრუქციასთან) დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივებას, კანონმდებლობით დადგენილი სამშენებლო მოთხოვნებისა და პირობების დაცვის უზრუნველყოფის ფარგლებში.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი

დადგენილების პროექტით ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისა და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად დგინდება მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება.

პროექტის მიღების შედეგად აღნიშნული კატეგორიის შენობა-ნაგებობების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) დაინტერესებული პირები ისარგებლებენ მშენებლობის დეტალური შეტყობინებით გათვალისწინებული პროცედურით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

დადგენილების პროექტის მიღება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე

დადგენილების პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან.

დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 94-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება აქვს, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ან მის ნაწილში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად დაადგინოს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება.

პროექტით გათვალისწინებული რეგულაცია განსაზღვრავს მხოლოდ მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულების დადგენას და არ ცვლის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო და სხვა სავალდებულო მოთხოვნებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

პროექტის მომზადების პროცესში სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი ან სპეციალისტი კონსულტაციის მიზნით ჩართული არ ყოფილა.

ე) პროექტის ავტორი

დადგენილების პროექტის ავტორია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

**2026 წლის -- სექტემბერი
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონება) ნუსხა თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 31 ივლისის №გ-95.95262125 განკარგულება.
4. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (მამუკა თურმანიძეს).
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

ამირან ცინცაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო
ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონების) ნუსხა

N	ქონების დასახელება	ქონების მისამართი	მესაკუთრე	შენიშვნა-ნაგებობის ფართობი კვ.მ	დაკავებული მიწის ფართობი კვ.მ	მიწის საკადასტრო კოდი	გასაყიდი ქონების მოცულობა	ეროვნული ფასი (ლარი)	საწყისი (მოლოანი) გასაყიდი ფასი (ლარი)	შენიშვნა
1	არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა	ქედის მუნიციპალიტეტი		39.0	21.03.34.584			2574.00	
2	FORD TRANSIT 2.4D (მიკროავტობუსი) სახ. ნომრით HB137HH	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა (სპორტსკოლის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						2250.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 4600 ლარი შემცირდეს 49 %-მდე და განისაზღვროს 2250 ლარი.
3	ავტომანქანა "MITSUBISHI outlander". სახელმწიფო ნომერი XX-041-PX	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						1200.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 3000 ლარი შემცირდეს 40 %-ით და განისაზღვროს 1200,0 ლარი.
4	ავტომანქანა - MITSUBISHI L200. სახელმწიფო ნომერი HB-838-BH	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						11500.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 13500 ლარი შემცირდეს 15 %-მდე და განისაზღვროს 11500,0 ლარი.
5	ავტომანქანა - PEUGEOT EXPERT სახელმწიფო ნომერი GF-811-GG	სოფელი მენწმანი	ქედის მუნიციპალიტეტი						7380.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 15080 ლარი შემცირდეს 49 %-მდე და განისაზღვროს 7380,0 ლარი.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ.

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 124-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტი შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცება.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ქონების ნუსხის დადგენა, რომელითაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული აუქციონის ფორმით განხორციელდეს პრივატიზება - საკუთრებაში გადაცემა როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებზე.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში ცვლილებების შეტანა ქონების შემდგომი განკარგვის მიზნით.

გაცნობებთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 31 ივლისის №გ-95.95262125 განკარგულებით დამტკიცებულ მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი იყო 13 (ცამეტი) ერთეული ქონება.

ამათგან, ოთხი ერთეული ქონება, ალუმინის მეორადი კარ-ფანჯრები (საპრივატიზაციო ნუსხაში №8), ავტომობილის ასასვლელი (სარემონტო) რამპა (საპრივატიზაციო ნუსხაში №7), ავტომანქანა „HONDA CR-V 2.0I“ სახელმწიფო ნომერი CH-977-HC (საპრივატიზაციო ნუსხაში №9) და ავტომანქანა - MITSUBISHI IO. სახელმწიფო ნომერი HB-923-HH (საპრივატიზაციო ნუსხაში №12) ამოსაღებია ნუსხიდან, რადგან მოხდა მათი პრივატიზება ელექტრონულ აუქციონზე, შესაბამისად ადგილობრივ ბიუჯეტში მიღებულია დამატებითი შემოსავალი - 10330 ლარის ოდენობით.

ასევე, საპრივატიზაციო ნუსხიდან ყოფილი თამბაქოს დამზადების ადმინისტრაციული შენობა, ქვედა მახუნცეთში მდებარე სასურსათო მაღაზია, სოფელ მერისში მდებარე ყოფილი სასადილოს შენობა და დაბა ქედაში რუსთაველის ქუჩაზე არსებული ყოფილი რძის ქარხნის ტერიტორია (საპრივატიზაციო ნუსხაში №№1-4) ამოსაღებია რადგან აღნიშნული ქონება აღრიცხული და შეფასებულია წლების წინ, მათი საპრივატიზაციო საფასური აღარ შეესაბამება დღეს არსებულ საბაზრო ფასებს, ასევე დასაზუსტებია მათი საკადასტრო მონაცემები და აუცილებელია მათი ახლიდან შეფასება. გამომდინარე აქედან, აღნიშნული ოთხი ერთეული ქონება ამოღებული იქნას საპრივატიზაციო ნუსხიდან.

საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი სხვა ოთხი ერთეული ქონება ორჯერ იქნა გატანილი ელექტრონულ აუქციონზე, მაგრამ ორივე შემთხვევაში აუქციონები არ შედგა, რადგან მასში მონაწილეობა არ მიიღო არცერთმა პრეტენდენტმა, გამომდინარე აქედან მიზანშეწონილია მოხდეს მათი საწყისი საპრივატიზაციო ღირებულების შემცირება, კერძოდ:

1. ავტომანქანა "MITSUBISHI outlander". სახელმწიფო ნომერი XX-041-PX (საპრივატიზაციო ნუსხაში №10), ბოლო აუქციონზე გატანილი იყო 3000 (სამიათასი) ლარად. მიზანშეწონილია გასაყიდი ღირებულება შემცირდეს 40 %-ით - 1200 ლარით.

2. ავტომანქანა - MITSUBISHI L200. სახელმწიფო ნომერი HB-838-BH (საპრივატიზაციო ნუსხაში №11), ბოლო აუქციონზე გატანილი იყო 13500 ლარად. მიზანშეწონილია გასაყიდი ღირებულება შემცირდეს 15 %-მდე - 2000 ლარით.

3. ავტომანქანა FORD TRANSIT 2.4D (მიკროავტობუსი) სახ. ნომრით **HB-137-HH** (საპრივატიზაციო ნუსხაში №6), ბოლო აუქციონზე გატანილი იყო 4600 ლარად. მიზანშეწონილია გასაყიდი ღირებულება შემცირდეს 49 %-მდე, 2250 ლარით.

4. სპეციალური დანიშნულების ავტომანქანა (ამწე კალათა) PEUGEOT EXPERT-ი სახელმწიფო ნომერი GF-811-GG (საპრივატიზაციო ნუსხაში №13) ბოლო აუქციონზე გატანილი იყო 15080 ლარად. მიზანშეწონილია გასაყიდი ღირებულება შემცირდეს 49 %-მდე - 7380 ლარით.

ყოველივე აქედან გამომდინარე ქედის მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო ნუსხა ახლიდან ჩამოყალიბდა და ნუსხაში შეტანილი ქონების საერთო რაოდენობა განისაზღვრა 5 (ხუთი) ერთეულით.

ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს 2026 წლის 31 ივლისის Nგ-95.95262125 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების შემდეგ, დროულად განახორციელოს აუქციონის გამოცხადება.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან მუნიციპალიტეტი მიიღებს პრივატიზაციის შედეგად გასხვისებული ქონების საფასურს, რომლის ოდენობაც დაფიქსირდება აუქციონის საბოლოო შედეგის დროს.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური (სამსახურის უფროსი გ. წითელაძე).

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

	2025 წლის გეგმა	2025 წლის ფაქტი	შესრულების %
შ.პ.ს ქედის წყალკანალი			
ჯამური	843,600.00	843,189.00	100
ხარჯები	843,600.00	843,189.00	100
შრომის ანაზღაურება	150,290.00	150,290.00	100
ხელფასები	150,290.00	150,290.00	100
ხელფასები ფულადი ფორმით	150,290.00	150,290.00	100
თანამდებობრივი სარგო	144,815.00	144,815.00	100
ჯილდო/პრემია	5,475.00	5,475.00	
საქონელი და მომსახურება	669,160.00	668,775.35	100
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	567,100.00	567,051.00	100
